პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 100 (1010). || ოთხშაბათი, 12 დეკემბერი, 1956 წ. || გამოცემის მე-13 წელი || ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წინსვლის მძლავრი საშუალება

ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს რომელ დარგსაც არ უნდა გადავავლოთ თვალი ყველგან შესამჩნევია ის დიდი წვლილი, რომელიც შეიტანა ქვეყნის ყოველმხრივი აყვავების საქმეში წინსვლის მძლავრმა საშუალებამ — სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

ჩვენს რესპუბლიკაში ისე, როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკებში, ფართოდაა გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი ნაყოფი მოაქვს ორივე მხარისათვის საქართველოსა და უკრაინის კოლმეურნეების, მოლაროელების, საქართველოსა და აზერბაიჯანელი მეფოლადეების, საქართველოსა და დაღესტნელი მეცხოველეების შეჯიბრებებს. ცენტრალური პრესის ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება მასალები მათი შრომითი გმირობის შესახებ. სოციალისტური შეჯიბრების ცხოველმყოფელი ტალღა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობასაც მოედო (განსაკუთრებით ამ ბოლო წლებში) და თავისი დადებითი კვალიც დატოვა.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადებისათვის მზადების პერიოდში. იმ ცხარე დღეებში საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ძირეულ-ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის და გამარჯვებულისათვის დააწესეს გარდამავალი დროშა. ამ სასარგებლო საქმეში რესპუბლიკის თითქმის ყველა კოლექტივი ჩაება. როცა შედეგები შეჯამდა, გამოირკვა, რომ ყველა მაჩვენებლის მიხედვით პირველი ადგილი დაიკავა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ძირეულმა ფიზკულტურულმა კოლექტივმა, მეორე — დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა, მესამე — ბათუმის საზღვაო სასწავლებელმა.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შემდეგ რესპუბლიკის კომკავშირი და ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები კიდევ უფრო სერიოზული ამოცანების წინაშე დადგნენ. პირველი — მომავალი წლის შემოდგომაზე ბაქოში ჩატარდება ამიერკავკასიისა და მოლდავეთის მოძმე რესპუბლიკების სპარტაკიადა, ხოლო 1959 წელს მოძმე რესპუბლიკების სპორტული დელეგაციები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე. ამ ორივე ღონისძიებისათვის აქედანვე უნდა ვემზადოთ, საჭიროა მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ და ვიბრძოლოთ უკეთესი მაჩვენებლებისათვის. ამ საქმეში დიდად დაგვეხმარება ნაცადი მეთოდი — სოციალისტური შეჯიბრება.

გაითვალისწინეს რა ყოველივე ზემოთქმული, საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, გადაწყვიტეს განაგრძონ სოციალისტური შეჯიბრება, მაგრამ დებულებაში შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილება.

სოცშეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ თვითეულ ფიზკულტურულ კოლექტივს, თუ იგი მიაღწევს შემდეგ მაჩვენებლებს: ორგანიზაციაში მომუშავეთა 50 პროცენტს ჩააბამს კოლექტივის მუშაობაში, სისტემატურად მოაწყობს საწვრთნელ მეცადინეობებს, კულტივირებული ექნება სპორტის არანაკლებ ოთხი სახეობა, მოაწყობს 5-7 სამატჩო შეხვედრას, მონაწილეობას მიიღებს რაიონულ, საქალაქო პირველობებზე, სისტემატურად ჩაატარებს შიდასაკოლექტივო სპარტაკიადებს, დროულად შეასრულებს მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმებს, ააგებს და წესრიგში მოიყვანს საკუთარ სპორტულ ბაზებს, გაშლის საშეფო მუშაობას და სხვ.

სოცშეჯიბრების შედეგების შეჯამება მოხდება წელიწადში ორჯერ. პირველ ადგილზე გამოსული კოლექტივისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა დააწესეს ჯილდო—გამარჯვებულს გადაეცემა გარდამავალი წითელი დროშა, კოლექტივი დაჯილდოებული იქნება 3.000 მანეთის სპორტული ინვენტარით და შეტანილ იქნება საპატიო წიგნში. მეორე ადგილისათვის დაწესებულია ვიმპელი და 2.000 მანეთის სპორტული ინვენტარი, მესამე ადგილზე გამოსულ კოლექტივს გადაეცემა ვიმპელი და 1.000 მანეთის სპორტული ინვენტარი.

ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოების თავმჯდომარეები, კომკავშირის კომიტეტების მდივნები, კომკავშირული და ფიზკულტურული აქტივისტები, რომლებიც ენერგიულად იბრძოლებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მოპოვებისათვის, სათანადო ორგანიზაციების წარდგენით დაჯილდოებულ იქნებიან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელებით.

ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტებმა ამ საკითხს დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ და კომკავშირთან ერთად გაშალონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის ჯილდოს — გარდამავალი წითელი დროშის მოპოვება, ყველა კოლექტივის საპატიო ამოცანაა.

## ბერლინსა და ვარშავაში

ჩვენი ქვეყნის ჰოკეისტთა ნაკრები გუნდი გაცხოველებით ემზადება მსოფლიო პირველობისათვის. განზრახულია მოეწყოს ამხანაგური საერთაშორისო მატჩები სხვადასხვა ქვეყნების სპორტსმენებთან.

ამას წინათ სსრ კავშირის გუნდმა შეხვედრები ჩაატარა პოლონელ და გერმანელ ჰოკეისტებთან. პოლონეთში საბჭოთა გუნდმა 3 შეხვედრიდან სამივე მოიგო.

ბერლინში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის მეორე ნაკრები და გერმანიის გუნდი. ამჯერად საბჭოთა სპორტსმენების წინააღმდეგ გამოვიდა რესპუბლიკის ჩემპიონი ვეისვასერის „დინამო“. მატჩი მოიგეს ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებმა — 16:3.

მეორე მატჩი მოეწყო ჩვენ ჰოკეისტებსა და ბერლინის ნაკრებს შორის. ეს შეხვედრაც სსრ კავშირის წარმომადგენელთა გამარჯვებით (18:1) დამთავრდა.



[illegible] წლებში საერთაშორისო შეჯიბრებებში [illegible] წარმატებას აღწევს [illegible] სპორტსმენი ვ. ენგიბარიანი. მელბურნში მან კვლავ აჩვენა შეუდარებელი ოსტატობა და მოიპოვა ჩემპიონის სახელი.

* * *

სურათზე: ვ. ენგიბარიანი (მარჯვნივ) ბრძოლის მომენტში.

### ოლიმპიური თამაშების შემდეგ

## ეს უდიდესი მოვლენა იყო

ოლიმპიური თამაშების დამთავრების შემდეგ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ბრენდეჯმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ XVI ოლიმპიური თამაშები დიდი წარმატებით ჩატარდა. სპორტსმენთა დიდი გამარჯვებების გარდა, არ უნდა დავივიწყოთ თამაშების საერთაშორისო მნიშვნელობა. თითქმის 70 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა მეგობრულ შეჯიბრებებში, რაც უდიდესი მოვლენა იყო.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, — განაცხადა პრეზიდენტმა, — თამაშებში გერმანიის ერთიანი გუნდის მონაწილეობას, აგრეთვე იმას, რომ შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ ქვეყნები, რომელთაც ერთმანეთთან არა აქვთ დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ ამ სახელმწიფოების სპორტსმენების ერთმანეთთან შეხვედრები ეწყობოდა გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში.

შემდეგ ე. ბრენდეჯმა აღნიშნა ავსტრალიელი ხალხის დიდი სტუმართმოყვარეობა, რასაც გრძნობდნენ როგორც სპორტსმენები, ისე თამაშების ორგანიზატორები.

## უცხოეთის პრესა საბჭოთა სპორტსმენებზე

ინგლისური გაზეთები კომენტარებს უკეთებენ რა XVI ოლიმპიურ თამაშებს, აცხადებენ, რომ საბჭოთა გუნდმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა, სსრ კავშირი ყოველმხრივ ოლიმპიური ქვეყანაა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ოლიმპიადა ჩატარდა სხვადასხვა ქვეყნების სპორტსმენთა მეგობრობის განმტკიცების ნიშნით. ცნობილი ინგლისელი სპორტსმენი ბანნისტერი „სანდი ტაიმსში“ წერდა, რომ საბჭოთა სპორტსმენები გამოირჩეოდნენ სპორტის ყველა სახეობაში. შეეხო რა ვ. კუცის წარმატებას, ბანნისტერმა თქვა, რომ 5.000 და 10.000 მეტრზე რბენამ გვიჩვენა, რომ ზატოპეკის დიდება ხელთ იგდო კუცმა, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენს ჯერ კიდევ არ უთქვამს უკანასკნელი სიტყვა.

შვეციის პრესა ფართოდ გამოეხმაურა ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა გუნდის წარმატებას. გაზეთები წერენ, რომ სსრ კავშირის სპორტსმენებმა დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაკარგა წამყვანი ოლიმპიური ნაციის როლი.

## მიღება საბჭოთა დელეგაციის მეთაურთან

მელბურნში საბჭოთა სპორტული დელეგაციის მეთაურმა ნ. ნ. რომანოვმა მოაწყო დიდი მიღება.

გამოვიდა რა სიტყვით, რომანოვმა მადლობა გადაუხადა ავსტრალიის ხელისუფლებს გულითადი მიღებისა და ოლიმპიური თამაშების კარგი ორგანიზაციისათვის. მან საბჭოთა დელეგაციის სახელით ავსტრალიის ოლიმპიურ კომიტეტს გადასცა სპორტული თასი.

საპასუხო სიტყვაში ავსტრალიის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ჰიუზმა მადლობა გამოთქვა საჩუქრისათვის და განაცხადა, რომ მელბურნში მოწყობილმა ოლიმპიურმა თამაშებმა ხელი შეუწყეს ხალხთა შორის ურთიერთგაგების; სხვადასხვა ქვეყნებს შორის სპორტული კავშირის განვითარების საქმეს.

მიღებაზე დამსწრე ყოველ სტუმარს გადაეცა სამახსოვრო საჩუქარი. ამას გარდა საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა მიიღეს ვერცხლის თასები.

## წოდებათა მინიჭება

ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტმა ოლიმპიურ თამაშებში შესანიშნავი წარმატებებისათვის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭა ფეხბურთელებს ლ. იაშინს, ა. ისაევს, ვ. ივანოვს, ბ. ტატუშინს, ე. სტრელცოვს და სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტანს პ. მშვენიერაძეს.



ოლიმპიურ თამაშებში ბადროს მტყორცნელ ქალთა შორის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა ჩეხმა სპორტსმენმა ო. ფიკოტოვამ, რომელმაც აჩვენა 53 მეტრი და 69 სანტიმეტრი.

სურათზე: ო. ფიკოტოვა „კრიკეტგრაუნდის“ სტადიონზე.

## საერთაშორისო ფედერაციებში

ოლიმპიური თამაშების მიმდინარეობისას მელბურნში გაიმართა მთელი რიგი სპორტის სახეობათა საერთაშორისო ფედერაციების სხდომები.

ჰოკეის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით 15-დან 12 წუთამდე შემცირებულია ჰიდაობის ხანგრძლივობა (4-2-2-4). კლასიკურ ჭიდაობაში 1958 წლის მსოფლიო პირველობის გათამაშების ორგანიზატორი იქნება უნგრეთი, ხოლო 1957 წლის თავისუფალ მოჭიდავეთა მსოფლიო თასის გათამაშებისა — ბულგარეთი.

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ თავის რიგებში მიიღო სამხრეთ კორეა და ტაივანი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მიღებულია პირობით, თუ იგი ევროპის პირველობაზე და ოლიმპიურ თამაშებში გამოვა გაერთიანებული გუნდით.

## ოლიმპიური მედლების განაწილების საბოლოო ცხრილი

| სახელმწიფო | სულ მედლები | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო |
|---|---|---|---|---|
| 1. სსრკ | 98 | 37 | 29 | 32 |
| 2. აშშ | 74 | 32 | 25 | 17 |
| 3. ავსტრალია | 35 | 13 | 8 | 14 |
| 4. გერმანია | 26 | 6 | 13 | 7 |
| 5. უნგრეთი | 25 | 9 | 10 | 6 |
| 6. იტალია | 25 | 8 | 8 | 9 |
| 7. ინგლისი | 24 | 6 | 7 | 11 |
| 8. შვეცია | 19 | 8 | 5 | 6 |
| 9. იაპონია | 19 | 4 | 10 | 5 |
| 10. ფინეთი | 15 | 3 | 1 | 11 |

# სანიმუშოდ მოვემზადოთ ახალგაზრდობის მსოფლიო დღესასწაულისათვის

## საბჭოთა სპორტსმენები ფესტივალზე

ახალგაზრდობის ფესტივალის პროგრამაში დიდი ადგილი უკავია სპორტულ თამაშებს. ამ მასობრივ და საინტერესო შეჯიბრებებში საბჭოთა სპორტსმენები საამაყო შედეგებს აღწევენ და ღირსეულად იცავენ ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას.

ახალგაზრდობის პირველ მსოფლიო ფესტივალზე, რომელიც პრაღაში ჩატარდა 1947 წელს, საბჭოთა სპორტსმენები რამდენიმე სახეობაში მონაწილეობდნენ. საბჭოთა ფრენბურთი ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ლენინგრადის ნაკრები გუნდით, რომელმაც ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა.

ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების გამოსვლამ. მათ მოიპოვეს სპორტსაზოგადოების „სოკოლის" დამაარსებლის ტირშას მედალი, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში მაღალ სპორტულ ჯილდოდ ითვლება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ტირშას ჯილდო უცხოელებს გადაეცათ. წარმატება ხვდათ ჩვენი ქვეყნის მოცურავეებსაც, რომლებმაც დაიმსახურეს „ახალგაზრდობის ფესტივალის თასი".

ახალგაზრდობის მეორე მსოფლიო ფესტივალზე 1949 წელს ბუდაპეშტში, საბჭოთა სპორტსმენები 13-დან 8 სახეობაში მონაწილეობდნენ და რვავე სახეობაში პირველი ადგილი დაიკავეს. მათ მოიპოვეს 114 ოქროს, 42 ვერცხლის მედალი და 30 ბრინჯაოს ჟეტონი.

დიდ წარმატებას მიაღწია სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ა. ჩუდინამ, რომელმაც საპრიზო ადგილების სარეკორდო რაოდენობა დაისაკუთრა და დაიმსახურა ოქროსი, ვერცხლისა და ბრინჯაოს 8 მედალი.

მათ შორის, ვინც სასახელოდ დაიცვა საბჭოთა სპორტის ღირსება, იყვნენ საქართველოს წარგზავნილები: კალათბურთელი ო. ქორქია, მძლეოსნები ნ. დუმბაძე, ლ. სანაძე, მოჭიდავე ვ. ილურიძე, მოკრივე გ. ხანუკაშვილი და სხვ. პირველმა ოთხმა მოიპოვა ჩემპიონის საპატიო სახელი, ხოლო საბჭოთა კავშირის წამინდელმა ჩემპიონმა გ. ხანუკაშვილმა, წააგო რა ფინალური შეხვედრა ევროპის ჩემპიონთან ლ. პაპთან, დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი.

მესამე მსოფლიო ფესტივალი და სტუდენტთა XI საერთაშორისო საზაფხულო თამაშები, რომლებიც ბერლინში მოეწყო 1951 წელს, გაცილებით უფრო ფართო მასშტაბით ჩატარდა. 43 ქვეყნის წარმომადგენლებთან მეტად სერიოზულ და შეუპოვარ ბრძოლაში საბჭოთა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს 259 მედალი. აქედან 158 ოქროს, 60 ვერცხლისა და 41 ბრინჯაოსი.

თამაშების პირველსავე დღეს საბჭოთა სპორტსმენმა ვ. სუხარევმა 100 მეტრზე რბენაში აჩვენა რა 10,4 წამი, დაამყარა სტუდენტთა თამაშების ახალი რეკორდი. კვლავ ისახელა თავი ა. ჩუდინამ, რომელმაც ოქროს 5 მედალი მოიპოვა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. პიკისაგან სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

გამარჯვებებით აღინიშნა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების გამოსვლები მძლეოსნობაში, ჭიდაობაში, კრივში, ძალოსნობაში, ტანვარჯიშსა და სპორტის სხვა სახეობაში. ჩემპიონები გახდნენ ვ. ილურიძე, გ. კარტოზია (ჭიდაობა), რ. ჩიმიშკიანი (ძალოსნობა), ო. ქორქია, ნ. ჯორჯიკია (კალათბურთი), ლ. სანაძე (მძლეოსნობა). ნ. დვალიშვილმა სიგრძეზე ხტომაში მოიპოვა მეორე საპრიზო ადგილი, ხოლო ძალოსანმა ხ. ხანუკაშვილმა, კონკურსგარეშე გამოდიოდა რა უმძიმეს წონაში, 5 კგ-ით მეტი აჩვენა სამჭიდში, ვიდრე გუნდის წევრმა ფარხუტდინოვმა, რომელიც ფესტივალის ჩემპიონი გახდა. ჩიმიშკიანმა და ხანუკაშვილმა სტუდენტთა ახალი რეკორდები დაამყარეს კლასიკურ სამჭიდში.

სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტმა გრომანმა განაცხადა: „მსოფლიოს პროგრესული სტუდენტობა, რომელმაც მონაწილეობა მიიღო თამაშებში, სიხარულითა და აღტაცებით მიესალმება საბჭოთა კავშირის სპორტული დელეგაციის თვალსაჩინო წარმატებას".

მომდევნო ფესტივალზე, 1953 წელს, ბუქარესტში თავი მოიყარა მსოფლიოში ბევრმა სახელგანთქმულმა სპორტსმენმა. ფესტივალის გახსნის დღეს დამთავრდა მშვიდობის ესტაფეტა, რომელმაც გამოიარა 18 სახელმწიფოს ტერიტორია, გადაჭკვეთა 9 მთაგრეხილი და 11 დიდი მდინარე.

ისევე, როგორც წინა ფესტივალზე, შეჯიბრებები მეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის ვითარებაში ტარდებოდა. მაყურებლისათვის შეიძლება დავასახელოთ საბჭოთა მოკრივის გივი დარბაისელისა და რუმინეთის ჩემპიონ ლინკას შეხვედრა. რინგზე თავიდანვე მწვავე, მეტად ცხარე ბრძოლა გაჩაღდა, რომელიც უკანასკნელ წამამდე არ შეწყვეტილა. გაისმა გონგი: საბჭოთა მოკრივემ გაიმარჯვა. მეტოქეები მეგობრულად გადაეხვივნენ ერთმანეთს და ასე გავიდნენ რინგიდან.

ამ ფესტივალზე 54 ქვეყნის 4.366 სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას სპორტის 18 სახეობაში. საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობდნენ 14 სახეობაში და ყველაში გამარჯვებული გამოვიდნენ. მათ მოიპოვეს 202 ოქროსი, 72 ვერცხლისა და 59 ბრინჯაოს მედალი.

დახვეწილი ტექნიკით კვლავ თავი ისახელეს ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეებმა. უძლიერესთა ათეულში ვაჟთა შორის მხოლოდ რუმინელი ორენდი (IX ადგილი), ხოლო ქალებში უნგრელი ტაში (X ადგილი) მოხვდნენ. დანარჩენი ადგილები საბჭოთა წარმომადგენლებმა დაიკავეს. ჩემპიონები გახდნენ ქ. ჩუკარინი და ნ. ბოჩაროვა.

დიდი წარმატებით გამოვიდნენ მძლეოსნები. ქალთა ამანათრბენში 4X200 საბჭოთა გუნდმა კალაშნიკოვას, საფრონოვას, კაზანცევასა და ნ. დვალიშვილის შემადგენლობით დაამყარა მსოფლიო რეკორდი. ასევე მსოფლიო რეკორდები დაამყარეს ა. ჩუდინამ (ხუთჭიდი) და გ. ზიბინამ (ბირთვის კვრა). სტუდენტთა თამაშების პერიოდში გაუმჯობესებულ იქნა მრავალი ქვეყნის ეროვნული რეკორდი.

საბჭოთა წყალბურთელთა გუნდმა, რომლის შემადგენლობიდან მოწინააღმდეგეთათვის ყველაზე საშიში იყო პ. მშვენიერაძე, ბურთების უკეთესი შეფარდებით გაუსწრო ოლიმპიურ ჩემპიონებს — უნგრელებს და დაიკავა პირველი ადგილი.

საბჭოთა დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად, სტუდენტთა თამაშების ჩემპიონის საპატიო წოდება და ოქროს მედალი მოიპოვეს ქართველმა სპორტსმენებმა ნ. დვალიშვილმა (მძლეოსნობა), ხ. ხანუკაშვილმა (ძალოსნობა), ვ. ცციაძემ, ვ. ბალავაძემ (თავისუფალი ჭიდაობა), ვ. კარტოზიამ (კლასიკური ჭიდაობა), გ. დარბაისელმა (კრივი). ვერცხლის მედალი მოიპოვა დ. ციმაკურიძემ, ხოლო ბრინჯაოს ჟეტონი — ნ. მუზაშვილმა (თავისუფალი ჭიდაობა).

გასულ წელს ვარშავაში ჩატარებულმა მეხუთე ფესტივალმა სპორტული პროგრამითაც და შედეგითაც მანამდე მოწყობილ ყველა ფესტივალს გადააჭარბა. შეჯიბრება ტარდებოდა სპორტის 26 სახეობაში, დამყარებულ იქნა 6 მსოფლიო და 100 ეროვნული რეკორდი.

თვალსაჩინო წარმატება ხვდა წილად ქართველ მოჭიდავე მ. ცალქალამანიძეს, რომელმაც ბოლო შეხვედრამდე ყველა მოწინააღმდეგეს სუფთად მოუგო, ამასთან უმრავლესობას 1-2 წუთში ამთავრებდა. ფინალში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ირანელ ხოდიასტელხთან და ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა. ჩემპიონები გახდნენ აგრეთვე ო. კანდელაკი, მ. დადაშევი, კულაევი და სხვები. საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებმა მოიპოვეს 145 ოქროსი და 82 ვერცხლის მედალი და 57 ბრინჯაოს ჟეტონი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფესტივალისათვის მზადების პერიოდში იმართებოდა შეჯიბრებები დემოკრატიული ახალგაზრდების მსოფლიო ფედერაციის სპორტულ ნიშანზე. ამ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო 86 ქვეყნის 3.200.000 ჭაბუკმა და ქალიშვილმა.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მორიგი სპორტული თამაშები მოეწყობა 1957 წელს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში, ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალის დღეებში. პროგრამაში შეტანილია ვაჟთათვის სპორტის 24, ქალთათვის — 15 სახეობა.

უეჭველია, რომ ეს თამაშები თავის ძვირფას წვლილს შეიტანს ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განმტკიცების დიად საქმეში.

**გ. მახარაძე**



## „ფესტივალი" № 2

გამოვიდა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის მოსამზადებელი კომიტეტის ორგანოს გაზეთ „ფესტივალის" მეორე ნომერი, რომელიც მოგვითხრობს ფესტივალის მხარდამჭერის ზრდასა და პოპულარობაზე მსოფლიო ახალგაზრდობაში, იმ გაცხოველებულ მზადებაზე, რომელიც დედამიწის ყველა კუთხეში გაჩაღდა ჭაბუკებისა და ქალიშვილების ამ გრანდიოზული, მსოფლიო შეხვედრისათვის.

პირველ გვერდზე აწყობილია განცხადებით — „ძალზე სასარგებლო საქმე" გაზეთი ბეჭდავს პოლიტიკური და კულტურის მოღვაწეთა წერილებს ფესტივალის მნიშვნელობის შესახებ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, ეროვნებისა და რასის ახალგაზრდებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებაზე.

გაზეთი მკითხველებს აცნობს თავისი ხუმარა გმირის ფანფან-რეპორტიორის მოგზაურობის შთაბეჭდილებებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ავსტრიაში, საბერძნეთში, ინდოეთში, ტუნისსა და სხვა ქვეყნებში.

„ფესტივალი" მოგვითხრობს კლუბ „მოსკოვის" მუშაობაზე, რომელიც ჩამოყალიბებულია ვენაში. ასეთი კლუბები შექმნილია ავსტრიის სხვა რაიონებშიც. აქ ახალგაზრდები ემზადებიან ფესტივალისათვის, სწავლობენ სიმღერებს, ცეკვებს, იმაღლებენ სპორტულ ოსტატობას, მალე დაიწყება ჩემპიონატები ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. გამარჯვებული გუნდები გაემგზავრებიან მოსკოვში ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალზე.

ინდოეთის ერთ-ერთი პროვინციის დრამატული თეატრის დირექტორი დინა განდი, გამოხატავს რა მთელი ინდოელი ახალგაზრდობის მისწრაფებას, გაზეთის ფურცლებზე წერს: „მე გადავწყვიტე ყველა ღონე ვიხმარო იმისათვის, რომ მოსკოვში შეხვედრაზე ჩემი პროვინცია წარმოდგენილი იყოს ხელოვნების მთელი თავისი ბრწყინვალებით".

რუბრიკით „მოსკოვი — ფესტივალის ქალაქი" გამოქვეყნებულია მოსკოველი მძღოლის დ. ბელიაევის წერილი ლუჟნიკის გიგანტური სპორტული კომბინატის შესახებ, სადაც გაიმართება ახალგაზრდობის III საერთაშორისო სპორტული თამაშები და სხვა მასობრივი ღონისძიებები.

გაზეთში დაბეჭდილია საუბარი ახალგაზრდობის III საერთაშორისო მეგობრული სპორტული თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. რომანოვთან, მოთავსებულია ინფორმაცია იმ ნორმატივებზე, რომლებიც ყველა მონაწილემ უნდა შეასრულოს, რომ მიიღოს ფესტივალის სამკერდე ნიშნები.

## ემზადებიან მომავალი პედაგოგები

ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში კარგა ხანია დაიწყო ახალგაზრდობის ფესტივალისათვის მზადება.

ჩამოყალიბდა სიმღერის, ცეკვის, საესტრადო, დრამატული და სხვა წრეები, ჩატარდა ფესტივალისადმი მიძღვნილი საღამო-კონცერტი. საორგანიზაციო კომიტეტმა დაამუშავა და თვითეულ სტუდენტამდე დაიყვანა ინსტიტუტის ფესტივალის პროგრამა, გამოვიდა სპორტული და სხვა კედლის გაზეთები, რომლებიც ფართოდ აშუქებენ ფესტივალისათვის მზადებას. ენერგიულად მუშაობენ სპორტული სექციები.

ინსტიტუტის სპორტულ ბაზებზე დაიწყო ფესტივალისადმი მიძღვნილი სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია ტანვარჯიში, ქართული, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, ფრენბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა და ჭადრაკი.

უკვე დამთავრდა შეხვედრები ფრენბურთში. ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტის ქალთა გუნდმა დაამარცხა ისტორია-გეოგრაფიის (3:0) და ფიზიკა-მათემატიკის (3:2) ფაკულტეტების გუნდები და დაიკავა პირველი ადგილი.

ვაჟთა გუნდებიდან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტის სპორტსმენებმა ყველა შეხვედრა მოიგეს. მეორე ადგილი წილად ხვდათ ფიზიკა-მათემატიკის, მესამე — ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტების გუნდებს.

მოეწყო პედინსტიტუტისა და ხაშურის სპორტსკოლის კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა გუნდების შეხვედრები. ორივე მატჩი მოიგეს სტუდენტებმა: ქალებმა — 23:17, ვაჟებმა — 62:44.

**ა. გელაშვილი**

# ზეიმისათვის მზადების დღეებში

### აბაშა

რაიონში ფართოდ გაჩაღდა რესპუბლიკური ფესტივალისათვის მზადების სამუშაოები. მოსამზადებელმა კომიტეტმა, რომელსაც კომკავშირის რაიკომის მდივანი ა. ცანავა ხელმძღვანელობს, ქირეულ ორგანიზაციებს დაუგზავნა პროგრამა და სხვა საჭირო მასალები.

ქირეული კოლექტივების უმეტესობაში დაიწყო ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

სოფელ ონტოფოში ჩატარდა პირველი ტური, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსწავლე და კოლმეურნე ახალგაზრდებმა, მოეწყო შეჯიბრებები ველოსპორტში, ფრენბურთში, ფეხბურთში, მძლეოსნობაში. სოფლის ფესტივალის დასასრულს მონაწილეებმა საშუალო სკოლის ეზოში აანთეს კოცონი.

**ი. თოფურია**

### ონი

ორ დღეს გრძელდებოდა ახალგაზრდობის ფესტივალისადმი მიძღვნილი რაიონული პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რაიონის შვიდი საშუალო სკოლის 52 სპორტსმენი. ჩემპიონობა წილად ხვდა პიპილეთის საშუალო სკოლის გუნდს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ონის პირველი საშუალო სკოლის მოჭიდავეები, მესამეზე — სოფელ ღ[illegible]ის საშუალო სკოლის გუნდი.

**ა. მეტრეველი**

### ლაგოდეხი

7-წლიან და საშუალო სკოლებში ენერგიულად დაიწყეს მზადება რაიონული ფესტივალისათვის, რომელიც მომავალი წლის აპრილში ჩატარდება.

ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლაში უკვე ჩატარდა სასკოლო ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ფრენბურთში (გოგონათა შორის) და კალათბურთში (ვაჟთა შორის).

ფრენბურთელთა შეხვედრებში გამარჯვებული გამოვიდნენ მე-10 კლასის, ხოლო კალათბურთში — მე-11 კლასის სპორტსმენები.

კალინოვკის კალინინის სახელობის საშუალო სკოლის ფრენბურთელთა შეხვედრებში როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის უძლიერესი აღმოჩნდნენ მე-10 კლასის გუნდები. კალათბურთში პირველობა წილად ხვდათ — ქალთა შორის მე-10 კლასის, ვაჟთა შორის — მე-11 კლასის სპორტსმენებს.

**გ. ბაბაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტარტზე არიან სპორტსმენი ქალები





წასულ შაბათს სპორტული ალმებითა და ტრანსპარანტებით მორთულ ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა თბილისის ქალთა VI ტრადიციული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია: კალათბურთი, ფრენბურთი, მხატვრული და სპორტული ტანვარჯიში, მძლეოსნობა, სროლა, ფარიკაობა, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და ცურვა. ყველა წინა სპარტაკიადები ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მარტში ტარდებოდა და მისი პროგრამა სპორტის შედარებით ცოტა სახეობებს მოიცავდა. წელს ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტმა ეს მასობრივი ღონისძიება რატომღაც წლის ბოლოსათვის გადმოიტანა. საგრძნობლად შემცირდა პროგრამა, იკლო მონაწილეთა რაოდენობამაც.

შეჯიბრების მონაწილე კოლექტივები დაყოფილია ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში მონაწილე უმაღლესი სასწავლებლების 12 კოლექტივი ქმნის „ა“ და „ბ“ ქვეჯგუფებს. მეორე ჯგუფში გამოდიან სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები.

უკვე დამთავრდა შეხვედრები მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში ჩატარდა.

მესამე თანრიგის სპორტსმენთა შორის უძლიერესები აღმოჩნდნენ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენლები — ა. ბრჟეინსკაია და ვ. სტუპაკი. გამარჯვება მიეკუთვნა პირველს, რომელმაც 32,8 ქულა დააგროვა. მეორე თანრიგის სპორტსმენთა გამოსვლები აღინიშნა უნივერსიტეტელთა უპირატესობით, მათ შორის პირველი ადგილი დაიკავა ნ. მარჯანოვამ (36,45 ქულა), ვ. ავაკიანმა მოაგროვა 35,8 ქულა, ი. როგოვსკაიამ — 35,7 ქულა და შესაბამისად გამოვიდნენ მე-2 და მე-3 ადგილებზე.

პირველ თანრიგში ხალიჩაზე გავიდა მონაწილეთა საკმაო რაოდენობა, მაგრამ ჩასათვლელი ნორმატივის შესრულება მხოლოდ ერთმა — ტიშჩაიამ (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) შეძლო — 40,6 ქულა. გუნდურ ჩათვლაში უნივერსიტეტის კოლექტივმა მოაგროვა რა 185,9 ქულა, პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გასულ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეთა შედეგია 108,71 ქულა. პედინსტიტუტის სპორტსმენებმა მოაგროვეს 104,25 ქულა.

„დინამოს“ ტირში დამთავრდა მსროლელთა შეხვედრები „ა“ ქვეჯგუფის გუნდებისათვის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა მხოლოდ 4 კოლექტივი, გამარჯვებული გამოვიდნენ ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის მსროლელები.

ამ დამარცხებისათვის უნივერსიტეტელებმა რევანში აიღეს ფარიკაობაში, რომელიც „ბურევესტნიკის“ სპორტდარბაზში ჩატარდა. აქაურმა სპორტსმენებმა ძლიეს რა ყველა მოწინააღმდეგეს, დამსახურებულად დაიკავეს პირველი ადგილი. პედინსტიტუტის გუნდმა მოიპოვა მეორე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა — მესამე ადგილი.

„ბ“ ქვეჯგუფში საფარიკაო ბილიკებზე გამოვიდნენ სამხატვრო აკადემიის, ზოოვეტერინალური, სამედიცინო და უცხო ენათა ინსტიტუტების წარმომადგენლები. აქ უძლიერესები აღმოჩნდნენ სამედიცინო ინსტიტუტის მოფარიკავეები, რომლებმაც მოიპოვეს პირველი ადგილი, მე-2 და მე-3 ადგილები წილად ხვდათ უცხო ენათა ინსტიტუტისა და ზოოვეტერინალური ინსტიტუტის კოლექტივებს.

სპორტსაზოგადოებათა ჯგუფში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: „დინამო“, „სპარტაკი“, 26 კომისრის სახ. რაიონი.

ფრენბურთელთა ტურნირში, რომელიც ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტულ დარბაზში ტარდებოდა, მონაწილეობდნენ უმაღლესი სასწავლებლებისა და სპორტულ საზოგადოებათა 7-7 გუნდი. უმაღლესი სასწავლებლის „ა“ ქვეჯგუფში პირველობის ძირითადი პრეტენდენტები იყვნენ ლენინის სახელობის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტისა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრენბურთელები. მომავალმა ინჟინრებმა ეს გადამწყვეტი შეხვედრა თავის მეტოქეებთან წააგეს ანგარიშით 1:2. უნივერსიტეტელმა სპორტსმენებმა მეორე შეხვედრა მოუგეს პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელებთან მოწინააღმდეგის გამოუცხადებლობის გამო მოგება ჩაეთვალათ და ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გამოვიდნენ. მომდევნო ადგილები დაიკავეს რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა და პედაგოგიური ინსტიტუტების წარმომადგენლებმა.

„ბ“ ქვეჯგუფში ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ფრენბურთელებმა მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგეს უცხო ენათა ინსტიტუტის კოლექტივთან და პირველ ადგილზე გამოვიდნენ, რადგან მეორე მატჩში სამედიცინო ინსტიტუტის გუნდის გამოუცხადებლობის გამო გამარჯვება ჩაეთვალათ.

სპორტულ საზოგადოებათა „ა“ ქვეჯგუფში ქალთა ძლიერი კოლექტივით იყო წარმოდგენილი „სპარტაკი“, რომელმაც ერთნაირი ანგარიშით — 2:0 დაამარცხა „ლოკომოტივის“, 26 კომისრის სახელობის რაიონისა და „ბურევესტნიკის“ კოლექტივები. მეორე ადგილის ბედს წყვეტდა „ლოკომოტივისა“ და „ბურევესტნიკის“ შეხვედრა, რომელიც პირველის გამარჯვებით დამთავრდა.

„ბ“ ქვეჯგუფში პირველობას ერთმანეთს ეცილებოდნენ „პიშჩევიკის“, „დინამოსა“ და „კრასნოე ზნამიას“ ფრენბურთელები. აქ უძლიერესები აღმოჩნდნენ დინამოელები. მეორე ადგილი წილად ხვდათ „კრასნოე ზნამიას“ წარმომადგენლებს.

დაძაბული ბრძოლებით აღინიშნა კალათბურთელთა შეხვედრები, რომლებიც ვაიმართა ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში. უმაღლესი სასწავლებლების „ბ“ ქვეჯგუფში ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ უცხო ენათა ინსტიტუტის კალათბურთელები, რომლებმაც ქვეჯგუფში გამარჯვებულის სახელი მოიპოვეს. მეორე ადგილზე გამოვიდნენ სამედიცინო ინსტიტუტის, ხოლო მესამეზე — ზოოვეტერინალური ინსტიტუტის სპორტსმენები.

სპორტულ საზოგადოებათა ჯგუფში გამარჯვებისათვის იბრძოდნენ „ბურევესტნიკის“, „დინამოს“, 26 კომისრის სახელობის რაიონისა და „კრასნოე ზნამიას“ კალათბურთელ ქალთა გუნდები. შეხვედრები ენერგიულად ჩაატარეს და უძლიერესის სახელი დაიმსახურეს „ბურევესტნიკის“ წარმომადგენლებმა, მეორე ადგილი დაიკავა „დინამომ“, ხოლო მესამე — 26 კომისრის სახელობის რაიონმა.

სპარტაკიადა გრძელდება.

ა. ხუჭუა,
ო. გელაშვილი.

• • •

სურათზე: ფრენბურთელთა (ზემოთ) და მოფარიკავეთა შეხვედრების მომენტები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# მშვიდობისა და მეგობრობის ჯარისკაცი

მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი რუსი პოეტის, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრის ნ. ს. ტიხონოვის დაბადების 60 წლისთავი.

ქართველი ხალხი ახლო იცნობს მშვიდობისათვის, ხალხთა ძმური მეგობრობისათვის, უკეთესი მერმისისათვის მგზნებარე მებრძოლს ნ. ტიხონოვს, რომლისთვისაც საქართველო, მისი ზღაპრული სილამაზე, დიდბუნებოვანი ხალხი, გმირული წარსული და ბედნიერი აწმყო ყოველთვის იყო და არის შთაგონების დაუშრეტელი წყარო მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად. პოეტი 18-ჯერ იყო საქართველოში, რათა უშუალოდ გაცნობოდა ჩვენს ქვეყანას, შეესწავლა მისი ისტორია, კულტურა, ახალი ცხოვრების შენება. დღეს ნ. ტიხონოვი ისე ახლოს იცნობს საქართველოს, თითქოს აქ დაბადებულიყოს და გაზრდილიყოს:

„არ ვარ დეენილი და სიმწარეში
სხვების სიხარულს დანატრებული,
ყველაფერს ვიცნობ მე ამ მხარეში,
თითქოს აქ ვიყო დაბადებული“.

ნ. ტიხონოვმა ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის შედეგად დაწერა ლექსების კრებული „საქართველოს გაზაფხული“. ტურისტული მოგზაურობანი პოეტს მდიდარ და ცოცხალ მასალას აძლევდნენ შემოქმედებითი შთაგონებისათვის:

„სამგზავრო ჩანთას, მოქედილ
წალას
მუდამ ვატარებ, არ გავეყრები,
რომ მძიმე ტვირთით შორ გზებზე
[illegible]
მიაბიჯ[illegible] ჩემი ლექსები“.

კავკასიონის მწვერვალთა შორის ერთი [illegible] სახელს ატარებს. პოეტი მთებს [illegible], მას ხიბლავს და იტაცებს ალპინისტთა გაუტეხელი ბუნება, ხასიათის სიმტკიცე, შეუპოვრობა, სტიქიასთან ვაჟკაცური შემართება. ცამდე აზიდული მწვერვალების დამორჩილებაში პოეტი ხედავს საბჭოთა ადამიანების სიდიადეს. ნ. ტიხონოვმა გულთბილი ლექსი მიუძღვნა სახელოვან ქართველ მთამსვლელ ქალს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ალექსანდრა ჯაფარიძეს — „ალექსანდრა ჯაფარიძე უშბაზე“. მწვერვალისაკენ მიმავალი ქართველი მთამსვლელი ქალის შეუპოვრობასა და გამარჯვებაში დარწმუნებული პოეტი ამბობს:

„მთაო, ზვიადად ამაოდ უმზერ,
ის მაინც დაძლევს შენს
მრისხანებას,
მალე ღიმილით შენს ბებერ
შუბლზე
პირველი ქალი ალიმართება“.

ნ. ტიხონოვმა თავისი ცეცხლოვანი ნაწარმოებებით საბჭოთა ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. სადაც არ უნდა იყოს იგი — ტრიბუნაზე, მშვიდობის დაცვის კომიტეტში, კომუნიზმის მშენებლობათა ხარაჩოებზე, მშრომელები მასში ხედავენ მშვიდობის ნამდვილ ჯარისკაცს, ხალხთა მეგობრობის დაუღალავ მომღერალს, მგზნებარე პოეტსა და მოქალაქეს, რომლის მოღვაწეობის უმაღლეს კანონს ხალხის კეთილდღეობისათვის სამსახური წარმოადგენს.

# ჭადრაკი დნეპროპეტროვსკიდან

საბჭოთა კავშირის ქალთა XVIII საჭადრაკო ჩემპიონატის დასკვნითი ტურები მძაფრი ბრძოლებით აღინიშნა. XIV ტურში ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ მხოლოდ ოთხი პარტია დამთავრდა. ტიხომიროვამ ენერგიული შეტევით მოუგო კოლოტის, ხოლო ტოგონიძემ — ესტერკინას. ყაიმით დამთავრდა გაფრინდაშვილ-ვოიცეკისა და ზატულოვსკაია-მატვეევას პარტიები.

საინტერესო გამოდგა XV ტურის შეხვედრები. რუდენკომ დიდი ალმავლობით ითამაშა ტიხომიროვას წინააღმდეგ და გაიმარჯვა. კოლოტიმ დაამარცხა გორინა, ხოლო ესტერკინამ — მატვეევა.

ყაიმზე შეთანხმდნენ ზვორიკინავოიცეკი, ზატულოვსკაია-გაფრინდაშვილი, ლაკაბაძე-ტოგონიძე და ბორისენკო-კაცკოვა.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

# საკავშირო ნახევარფინალი

## გადადებული პარტიების დამთავრება

XIII ტურის შემდეგ გაიმართა დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. ანტოშინმა შეუპოვარი დაცვით ეტლების ენდშპილში ყაიმს მიაღწია ჩუკაევთან. კასპარიანმა პოლუგაევსკისთან არ მოისურვა უიმედო პოზიციაში შეწყვეტილი პარტიის გაგრძელება და დანებდა. გიორგაძეს სახაროვთან პარტიაში ხარისხი აკლდა, მაგრამ მან იშვიათი სიზუსტით ჩაატარა დაბოლოება და ყაიმს მიაღწია. ყაიმზე შეთანხმდნენ პეტროსიანი და კობლენცი.

## მეთოთხმეტე ტური

ავადმყოფობის გამო ტურნირიდან გავიდნენ ჰ. კასპარიანი და ბ. ვორონკოვი. ამიტომ მოწინააღმდეგეებს, რომლებსაც მათთან დარჩათ სათამაშო, გამარჯვებები ჩაეთვლებათ.

ფრანგულ დაცვაში ფურმანმა (შავებით) დამაჯერებლად გამოიყენა სახაროვის სადებიუტო შეცდომები. მან ორი პაიკის შეწირვით გახსნა ხაზები და შეუტია თეთრების მეფეს. მალე კიეველი ოსტატი საშამათო ქსელში გაება და დანებდა. ბეწვზე ეკიდა გურგენიძის პოზიცია ტალთან. რიგელ ოსტატს ორიგინალურად გათამაშებული დებიუტის შემდეგ ადვილად შესამჩნევი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ იგი სწრაფად თამაშობდა, ეგონა იოლად მიიყვანდა პარტიას გამარჯვებამდე. გურგენიძე შეუპოვრად იცავდა თავს. ცაიტნოტშიც კი, რომელშიც იგი მოექცა, მან შესანიშნავად ითამაშა და დამსახურებულ ყაიმს მიაღწია.

კორჩნოიმ ჩუკაევთან ნიმცოვიჩის დაცვაში დებიუტიდანვე წაიყვანა თამაში ბოტვინიკ-კაპაბლანკას ცნობილი პარტიის მსგავსად. მან პაიკებით შეუტია მეფის ფრთას, ხოლო ხელსაყრელ მომენტში ფიგურის შეწირვით პარტია სწრაფად მიიყვანა გამარჯვებამდე.

ბუსლაევს კარგი პოზიცია ჰქონდა პოლუგაევსკისთან. მაგრამ მაშინ, როდესაც პარტიაში იწყებოდა „ხელჩართული“ ბრძოლა, ბუსლაევი განიცდიდა მოფიქრებისათვის დროის ნაკლებობას. სწრაფ თამაშში მან რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვა და დამარცხდა. იუხტმანმა მოუგო კროგიუსს.

ანტოშინ-კოტკოვის პარტიაში თამაშის მეოთხე საათზე ანტოშინმა ხარისხის შეწირვით შექმნა ძლიერი გამსვლელი პაიკი. პარტია გადაიდო. ვიორგაძეს, რომელიც ამ ტურნირში ძალზე ცუდად თამაშობს, ხალილბეილისთან ფიგურის შეწირვით შეეძლო მუდმივი ქიშით პარტიის გაყაიმება, მაგრამ მან ეს შესაძლებლობა ვერ დაინახა. პარტია გადაიდო მისთვის მძიმე პოზიციაში.

## მეთხუთმეტე ტური

რვა პარტიიდან, რომელიც ამ ტურში გათამაშდა შვიდი — ფურმან-პეტროსიანის, კობლენც-ბუსლაევის, პოლუგაევსკი-ანტოშინის, კოტკოვ-კორჩნოის, ჩუკაევ-იუხტმანის, კროგიუს-გურგენიძისა და ხალილბეილი-სახაროვის პარტიები ყაიმით დამთავრდა. მხოლოდ ტალი-გიორგაძის პარტიაში, რიგელმა სწრაფად გამოიყენა დებიუტში შავების საეჭვო გაგრძელება და გაიმარჯვა.

ამრიგად, XV ტურის შემდეგ პეტროსიანს აქვს 11 ქულა, ფურმანს — 9,5, პოლუგაევსკის — 9, კორჩნოისა და ანტოშინს — 8,5 ქულა და თითო გადადებული თვითეულს, გურგენიძეს და კროგიუსს — 8,5 თვითეულს.

# წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის 1956 წლის 26 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ფოტომასალა? „ნანგრევები, უპატრონო ნგრევები“ — ქალაქ გორის სტადიონის სავალალო მდგომარეობის შესახებ.

გაზეთში მოყვანილი ფაქტები შემოწმდა და განიხილა საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის ბიურომ, რომელმაც სავსებით სამართლიანად ცნო გაზეთის კრიტიკა და დასახა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ბიურომ აღნიშნა, რომ ბამბეულის კომბინატის დირექციას დაავალა კაპიტალური მშენებლობის ხარჯებიდან სტადიონის კეთილმოწყობისათვის გამოჰყოს 50 ათასი მანეთი. აღნიშნული თანხა წლის ბოლომდე უნდა აითვისოს გორის მე-8 სამშენებლო ტრესტმა. უსინათლოთა საზოგადოებას საწარმოო წამოწყების ხელმძღვანელობა უახლოეს ხანში გაათავისუფლებს სტადიონის სათავსოებს.

გორის საქალაქო კომიტეტის ბიურომ საქართველოს საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს წინაშე დასვა საკითხი 1957 წლის სატიტულო სიაში სტადიონის მშენებლობის დასამთავრებლად გამოყოფილი 450 ათასი მანეთის შეტანის შესახებ, აგრეთვე იმის თაობაზე, რომ აღნიშნული სამუშაო შეტანილ იქნას გორის მე-8 სამშენებლო ტრესტის გეგმაში იმის გათვალისწინებით, რომ იგი დამთავრდეს 1957 წლის პირველი აპრილისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 65 გუნდის მონაწილეობით

თბილისის პირველობა ფეხბურთში მიმდინარეობდა საკლუბო სისტემით. პირველ ჯგუფში მონაწილე კოლექტივებს შეჯიბრებაზე უნდა გამოეყვანათ მოზრდილთა ორი და ჭაბუკთა ერთი გუნდი. მეორე ჯგუფში მონაწილეობისათვის საჭირო იყო მოზრდილთა და ჭაბუკთა თითო გუნდის გამოყვანა, ხოლო მესამე ჯგუფის მონაწილენი წარმოდგენილი იყვნენ მოზრდილთა თითო გუნდით.

შეჯიბრების ჩატარებას საკლუბო სისტემას ის დადებითი მხარე აქვს, რომ მასში დიდი რაოდენობით მონაწილეობს ახალგაზრდობა, ეს კი ხელს უწყობს პერსპექტიული კადრების გამოძებნას. მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ იმასაც, რომ ორგანიზაციებმა თავი ვერ გაართვეს ასეთი მასშტაბის შეჯიბრებას. ხშირი იყო თამაშზე გამოუცხადებლობის, დისციპლინის დარღვევის შემთხვევები (ტექნიკური სასწავლებელი № 1, ზოოვეტინსტიტუტი, 26 კომ. სახ. რაიონი, არტელი „რემობუვი", „დინამო" და სხვ.). გარდა ამისა, მთელ რიგ გუნდებში მოიკოჭლებდა მოთამაშეთა ტაქტიკურ-ტექნიკური მომზადება, რაც იმის შედეგია, რომ გუნდებში არ წარმოებს სისტემატური სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა.

საერთო პირველი ადგილი შეჯიბრებაში მოიპოვა მაუდ-ქამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა, რომელმაც დააგროვა 296 ქულა (მწვრთნელი რ. მამაჯანოვი). მეორე ადგილი დაიკავა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კლუბმა — 255 ქულა (მწვრთნელი გ. გაგუა). მესამე ადგილზე გამოვიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელები — 211 ქულა (მწვრთნელი ა. გუკასიანი).

მეორე ჯგუფში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად — „ტაქსომოტორი", 26 კომ სახ. ქარხანა, „სპარტაკი". მესამე ჯგუფში გაიმარჯვა სარემონტო-მექანიკური ქარხნის გუნდმა. მომდევნო ადგილები დაიკავეს საბურთალოს აგურის ქარხნისა და „ცენტროლიტის" ქარხნის გუნდებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის საფეხბურთო პირველობაში მონაწილეობას თავი აარიდეს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, მეტალურგიული ტექნიკუმი, პლასტმასის ქარხანა და სხვ.

**ა. გონელი**

# მოკლე ცნობები

**წულუკიძე.** დამთავრდა „კრასნოე ზნამიას" რესპუბლიკური პირველობა კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ქუთაისის, გორის, წულუკიძის, სამტრედიისა და ბათუმის ქალთა და ვაჟთა გუნდები. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავეს წულუკიძის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის გუნდებმა.

**ი. ხაბეიშვილი**

* * *

**გურჯაანი.** რაიონის თასის გათამაშებაში მონაწილეობდა ფეხბურთელთა 16 კოლექტივი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობისა და ამავე სოფლის საშუალო სკოლის გუნდები. თასი მოიპოვეს კოლმეურნე ფეხბურთელებმა, რომლებმაც განმეორებით მატჩში დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 4:2.

**თ. გოგიაშვილი**

**სოხუმი.** გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენებთან ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად ჩამოვიდნენ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ფრენბურთელები და კალათბურთელები. როგორც ფრენბურთში, ისე კალათბურთში გამარჯვება წილად ხვდათ გორის ქალთა და სოხუმის ვაჟთა გუნდებს.

**პ. გვალია**

* * *

**ოჩამჩირე.** 180-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა „კოლმეურნის" რაიონულ საბჭოს პირველობაზე ცხენოსნობაში. პროგრამაში ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებს. გუნდური პირველობა მოიგო ფოქვეშის ცხენოსანთა კოლექტივმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ათარელი სპორტსმენები.

**ვ. დოხნაძე**

# საკითხი არ არის სადავო

## გამოხმაურება წერილზე „ადრეული სპეციალიზაციის შესახებ"

ზოგიერთ მშობელს მცდარი შეხედულება აქვს იმის შესახებ, თითქოს ბავშვის მცირე ასაკიდან ჩაბმა სპორტის რომელიმე სახეობაში ხელს უშლიდეს მის ნორმალურ ზრდას. მტკიცება იმისა, რომ სპორტში მეცადინეობა არა თუ უშლის, არამედ ხელს უწყობს ორგანიზმის ნორმალურ ზრდას — ზედმეტია.

მაგრამ არიან სპორტის სპეციალისტები, მწვრთნელები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ადრეული სპორტული სპეციალიზაცია მავნეა. მრავალრიცხოვანი მაგალითები და ბოლო წლების მდიდარი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ადრეული სპეციალიზაცია ცურვაში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, ფეხბურთში და ა. შ. დიდად უწყობს ხელს სპორტსმენის მიერ მაღალი შედეგების მოპოვებას, სპორტული მწვერვალების დაპყრობას ადამიანის მორალურ-ფიზიკური აყვავების ასაკში. რაც უფრო დაბალი ასაკიდან მოვკიდებთ ხელს ბავშვის აღზრდას, მით უფრო მოკლე ვადაში მივაღწევთ სასურველ მიზანს. ადრეულ ასაკში სპეციალიზაციის საქმეში მეტად დიდი როლი ეკუთვნის მწვრთნელს. მას უნდა ჰქონდეს მდიდარი გამოცდილება, პედაგოგიური მიდგომა და აგრეთვე იმისი ალღო, თუ როდის შეიძლება ბავშვი ჩაბმულ იქნას მეცადინეობაში, რა სახეობაში შეიძლება ჰქონდეს მას მაქსიმალური წარმატებანი, რა პროპორციით შეიძლება მიეცეს ნორჩ ორგანიზმს დატვირთვა და ა. შ.

პრაქტიკულ საქმიანობაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ბავშვი სხვებთან შედარებით მეტ უნარსა და ნიჭს ავლენს, ადრე ითვისებს განვლილს. ასეთ დროს მწვრთნელმა უნდა დაიცვას განსაზღვრული ტაქტი და წინ არ გაუსწროს ბავშვის ისედაც სწრაფ ზრდას. ჩვენს რესპუბლიკაში ხშირად ტანმოვარჯიშეს ერთობ აჩქარებული ტემპებით აბარებინებენ თანრიგებს და ოსტატის პროგრამითაც გამოჰყავთ, როცა იგი პირველი თანრიგის ელემენტებს სრულყოფილად არ არის დაუფლებული. ეს სერიოზული შეცდომაა. ნორჩი ორგანიზმი მხოლოდ მაშინ შეძლებს განუწყვეტ, მზარდ პროგრესს, როცა იგი სათანადოდ დაეუფლება განვლილ მასალას. აქ გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ფსიქოლოგიური მომენტიც — ბავშვი იოლად სძლევდა ახალ მასალას, სწრაფად მიიწევდა წინ და უცებ გაუძნელდა. მას შეიძლება სამუდამოდ დაეკარგოს მეცადინეობის ხალისი და რწმენა საკუთარ ძალებში. მწვრთნელმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს თვითეული თავისი აღსაზრდელის ძალა, თუ რა ოდენობის დატვირთვის ატანა შეუძლია, ვინ როგორ ხვდება სიძნელეს და ა. შ.

პირადი პრაქტიკიდან მოვიყვან შემდეგ მაგალითს: ტანვარჯიშის სექციაში მეცადინეობა დავიწყე 12-13 წლის ასაკში და რამდენიმე წლის განმავლობაში დავძლიე ოსტატის პროგრამა. ჩემს გარდა ქ. ქუთაისში აღიზარდნენ სპორტის ოსტატები ა. გაბრიაძე, თ. კობოსნიძე, ა. სკიბა, ლ. ჯიშკარიანი, ვ. გურსკი. ჩვენი მწვრთნელი რ. მირიმანოვი დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ჩვენს მეცადინეობას, კარგად იცნობდა ყოველ ჩვენთაგანს, იცოდა ჩვენი ოჯახური პირობები, აკადემიური წარმატებანი, დაახლოებული იყო მშობლებთან.

თვითეული მწვრთნელი, რომელიც ბავშვთან მუშაობს, მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მასთან. ყოველმხრივ იცნობდეს თავის აღსაზრდელს როგორც სპორტში, ისე ყოველდღიურ ცხოვრებაში. როდესაც ბავშვი მოდის მეცადინეობაზე, მას სიახლე უნდა აინტერესებდეს და მწვრთნელის ამოცანაა ეს სიახლენი ზომიერად შეუფარდოს განვლილი მასალის დაუფლებას.

ადრეულ ასაკში ბავშვებთან მეცადინეობის დაწყება სადავო საკითხი არაა. საჭიროა მხოლოდ მეტი გულისხმიერებით, მეტი სიყვარულითა და პასუხისმგებლობით მოვეპყროთ ამ საქმეს.

**ა. ალფაიძე,**
სპორტის ოსტატი.



სპორტულ სამყაროში ფართოდაა ცნობილი არგენტინელი ზანგი სპორტსმენის ადემარ ფერეირი და სილვას სახელი. ამ შესანიშნავმა მძლეოსანმა XV და XVI ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი სამხტომში. მასვე ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი ამ სახეობაში.

ს უ რ ა თ ზ ე: ა. ფ. და სილვა ხტომის მომენტში.

# მედიცინის მუშაკთა სპარტაკიადა

თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონის მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რაიკომმა ჩაატარა მედიცინის მუშაკთა პირველი სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მაგიდის ჩოგბურთი, სროლა და ჭადრაკი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ორთოპედიული ინსტიტუტის, ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს, სისხლის გადასხმის ინსტიტუტის, ბავშვთა მესამე საავადმყოფოს, მე-16 პოლიკლინიკის, სანეპიდსადგურისა და სტომატოლოგიური პოლიკლინიკის გუნდები.

შეჯიბრებაზე ორგანიზებულად გამოვიდნენ ორთოპედიული და სისხლის გადასხმის ინსტიტუტების გუნდები, რომლებმაც სპარტაკიადაში პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს.

აღსანიშნავია, რომ ორთოპედიული ინსტიტუტისა და ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს გარდა სხვა ორგანიზაციებში ძირეული კოლექტივები მიმდინარე წელს შეიქმნა. მიუხედავად მცირე დროისა, მათ გარკვეული მუშაობა ჩაატარეს და შეძლეს გუნდების გამოყვანა სპარტაკიადის სამივე სახეობაში.

**შ. სამსონიძე**

# ფ. პატერსონის გამარჯვება

გასული წლის აპრილიდან პროფესიონალური კრივი დარჩა თავისი წამყვანი ოსტატის გარეშე: რინგი დატოვა მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონაში როკი მარჩიანომ. ოფიციალურად იყო გამოცხადებული, რომ მარჩიანომ მიატოვა კრივი, რადგან მას ცხოვრების მძიმე პირობები შეექმნა, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მას არ ჰყავდა ძლიერი მოწინააღმდეგე, რომელიც დათანხმდებოდა და შეხვდებოდა მას. ამის გამო მსოფლიო ჩემპიონი აღარ აძლევდა მოგებას თავისი კლუბის მესვეურებს და ურჩიეს რინგი დაეტოვებინა. მსოფლიო ჩემპიონობის უეჭველი კანდიდატები იყვნენ ა. მური, ფ. პატერსონი, ჰ. ჯექსონი, უ. პასტორანო, პ. მაკმურტი, ბ. ბაკერი და ე. მაკჰენი.

მიმდინარე წლის ზაფხულში ამერიკის კრივის ნაციონალურმა ასოციაციამ მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლინებლად დანიშნა შეხვედრა ა. მურსა და ფ. პატერსონს შორის. მაგრამ ჰ. ჯექსონთან შეხვედრაში პატერსონმა ხელი დაიზიანა და ექიმებმა რინგზე გამოსვლა აუკრძალეს. ძალზე თავისებურად დაიწყო მატჩისათვის „მზადება" მურმა. მსოფლიო ჩემპიონობის კანდიდატი, რომელიც ამჟამად 40 წლისაა, მეოთხედ დაქორწინდა და გაემართა სამოგზაუროდ. ახლადდაქორწინებულ სპორტსმენს ჩატარებული ჰქონდა 156 შეხვედრა, რომელთაგან 131 მოიგო, 20 წააგო და 5 დაამთავრა ფრედ.

პატერსონმა რეგულარული ვარჯიში დაიწყო სექტემბერში სამედიცინო შემოწმების შემდეგ. ამას წინათ მოეწყო ეს შეხვედრა. პატერსონისათვის ეს იყო 32-ე მატჩი მას შემდეგ, რაც 1952 წელს ჰელსინკის მე-15 ოლიმპიურ თამაშებში მეორე საშუალო წონაში მოიპოვა ჩემპიონის სახელი. მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტებს უნდა ჩაეტარებინათ 15 რაუნდი, მაგრამ უკვე მეხუთე რაუნდზე ფ. პატერსონმა შეხვედრა ნოკაუტით მოიგო და მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

# კალათბურთი — ბალეტი

სპორტულ სამყაროსათვის საკმაოდ ცნობილია პროფესიონალ კალათბურთელთა გუნდი „ჰარლემ გლობ-ტროტერსი", რომელიც ზანგი კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული.

გუნდის მოთამაშეებმა კალათბურთი, რაღაც თეატრალურ ან უფრო სწორედ საცირკო სანახაობად გადააქციეს. „ჰარლემელი მოცეკვავენი", როგორც მათ უწოდებენ, პირველი კლასის მოთამაშენი არიან, მაგრამ ამავე დროს ისინი პირველხარისხოვან მსახიობებსაც წარმოადგენენ. ისინი სპორტულ მოედანზე წინასწარ შედგენილი პროგრამით გამოდიან და თავისი რთული კომბინაციებით, რომელიც თამაშამდე ასჯერ მაინც აქვთ გამეორებული, აღტაცებაში მოყავთ გამოუცდელი მაყურებელი. კალათბურთის ნამდვილი მცოდნესათვის კი შეუმჩნეველი არ რჩება ის ამბავი, რომ, როდესაც წამყვანი მოთამაშე რიჩ ტატუმი საოცარი სისწრაფით ბურთს აწოდებს ამხანაგს, მისი „მოწინააღმდეგე" ხტება ზუსტად იმ სიმაღლეზე, რომ ხელით არ შეეხოს ბურთს. საქმე იმაშია, რომ მოთამაშეებს არა აქვთ უფლება ითამაშონ, როგორც ნამდვილმა სპორტსმენებმა; მათ უნდა გაართონ მაყურებელი და აიღონ მეტი მოგება.

ყოველივე ამის მიუხედავად „ჰარლემელი მოცეკვავეები" მაინც რჩებიან უძლიერეს კალათბურთელებად. ეს განსაკუთრებით მაშინ ჩანს, როდესაც თამაშის გიჟური ტემპით და მაყურებელთა ყიჟინით აღგზნებულნი ისინი ივიწყებენ გათვალისწინებულ პროგრამას და თამაშობენ მთელი სიძლიერით. ეს ამბავი მაშინ უფრო უდავო ხდება, როცა ისინი ეთამაშებიან სხვა გუნდებს. საკმარისია მოვიგონოთ თუ როგორ სამარცხვინოდ დაამარცხეს „ჰარლემელმა მოცეკვავეებმა" საფრანგეთის ნაკრები გუნდი, ხოლო იტალიაში ყოფნის დროს „ბარლეტის" — გუნდთან თამაშის შემდეგ სხვაობა ანგარიშში 72 ქულას უდრიდა ზანგების სასარგებლოდ. ასევე ფილიპინების კუნძულებზე ნაციონალურ გუნდთან შეხვედრისას თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 36:2 — „ჰარლემელ მოცეკვავეთა" სასარგებლოდ, რის შემდეგ მასპინძლები თამაშის მეორე ნახევარში მოედანზე აღარ გამოსულან.

რედაქტორის მაგიერ
**ზ. ჯაფარიძე**

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ. მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.　უე 01183